


საქართველოს



იმისთანა წმინდა საღმრთო,
ბრძოლით ბეჭდული სიფიქსა,
ცყილებით და ჭიბრით ბუბთის
გაცანა ყუულა უკადრისდბაჟ
უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

სამშაბათი, 29 ოქტომბერი, 2013 წელი.
№207 (7334)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილი: მინდა, მივუღოცო ქართველ ხალხს ასეთი კულტურული არჩევნების ჩატარება



„მინდა, მივუღოცო ქართველ ხალხს, რომ ასეთი კულტურული არჩევნები ჩავატარებ. ჩვენ ჩავატარებ უნიკალური და ევროპული არჩევნები. ასეთი ხარისხობრივი ცვლილება ასეთ მოკლე დროში მართლაც საამაყოა. კულტურა საჭირო იყო, რომ მოკლე დროში საოცრება მოგვეხდინა. მე მგონი, არავის აქვს შეკითხვა, რომ არჩევნები იყო ევროპული და მსგავსი არ ყოფილა საქართველოში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ სასტუმრო „რედისონში“ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„მადლობა მინდა, გადავუხადო გუნდის წევრებს, ეს ჩვენი დიდი წება იყო, რომ ასეთი გარდაქმნა მომხდარიყო. კიდევ ერთხელ მინდა, ვისაუბრო გიორგი მარგველაშვილზე, რომელმაც თავდადებულად იშრომა ამ არჩევნების დროს. მან დაამტკიცა ის, რასაც მუდამ ვუხსნიდი საზოგადოებას, რომ ამ კაცს აქვს ყველაანაირი ღირსება. ის მოდის ხალხის სამსახურში. გიორგი არ მოვიდა ხელისუფლებისთვის, ის მოვიდა, რომ მოემსახურა ხალხს. მას არასდროს შეეძინა და არც ახლა აქვს ძალაუფლებისკენ სწრაფვა“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

მისი თქმით, მთავრობაში ცვლილებები არ იქნება, თეორიულად შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ პრაქტიკულად, მას არა აქვს ამის გეგმა. „ნუ დაგავიწყდებათ, რომ ახალი პრემიერი, რომელიც დასახელდება, მას ექნება უფლებები და მას შეეძლება გუნდში ცვლილებები გამოიწვიოს. მართალია, ამის ცოტა ალბათობა არსებობს, რამეთუ ის გუნდის წევრია და იცის საერთო პოზიცია. თეორიულად შეიძლება რაღაც ცვლილება მაინც მოხდეს, თუმცა, ჩემი გადმოსახედიდან, ყველა მინისტრი შეინარჩუნებს თავის თანამდებობას“, – განაცხადა ივანიშვილმა.

№ 2 83

რა იმელება „გულმონყალების“ მიღება?

სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა დაუნაწილა დაუნაწილად ჩამოიარება

4

ფიქრები პირველი პირების ზოგიერთი მოსაზრებით ბაემო

7

ახალი ტოტალიტარული სექტა

განკულაკება ნაციონალურად

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

305 რეგორ ხელახს

უძირები პირველი პირების ზოგიერთ მოსაზრებათა გამო

ამ წერილის გამოქვეყნების დროისთვის ყველაფერი გარკვეული იქნება და პრეზიდენტად, ალბათ, მიიღობი მარტინი...

„მე დიდი უპირატესობით ვიმარჯვებ პირველ ტურში და სულ არ მაინტერესებს, ვინ გავა მეორე ადგილზე, ბაქრაძე თუ ბურჯანაძე...“

და მაინც, ბერძენიშვილის პირით რესპუბლიკელების პოზიციის საჯაროდ გახმიანება ერთობ მოულოდნელი იყო ქართველი ამომრჩევლისთვის...

თუ გავითვალისწინებთ „ქართული ოცნების“ ლიდერის პრემიერ ივანიშვილის და პრეზიდენტობის კანდიდატ მარგველაშვილის ზენოლას ამომრჩევლებზე...

ლი ოცნების“ მთავარი ამოცანა ნაცემობის გადარჩენა, ანუ ნაცების ოპოზიციურ ძალად შენარჩუნება არის!

იმისთვის გადადო ხალხმა თავი 1 ოქტომბერს, რომ ასეთი რამეები ესმინა ქართული ოცნებისგან? თურმე, შესაძლებელია (ბ-ნი ბიძინას მსჯელობით) ნაცი პრეზიდენტიც ვინაობს და მობრუნებული სააკაშვილიც...

ენ-დი-აის და თავად „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებულ, ღიმილის მომგვრელი სოციოლოგიური კვლევებით ხალხის შეცდომაში შეყვანას თავი რომ დავანებოთ, განა შანტაჟი არ არის, როცა სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერებაზე ასე „გულწრფელად“ გველაპარაკებიან? როგორ შეიძლება პრემიერად წარდგენილი სააკაშვილი (ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლის და მარგველაშვილის მიერ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში) პარლამენტმა, სადაც დიდი უმრავლესობა ქოცებია, დაამტკიცოს, თუ ნაცებსა და ქოცებს შორის მოლაპარაკებით გარიგება არ მოხდება?!

მარჩიელობას (არცთუ, უსაფუძვლოს!) მაინც შეევეშათ და, რაც ცხადზე უცხადესია, იმისი ვთქვათ — თუ გვინდა სამართლიანობის დამკვიდრება (შესაძლებლობის ფარგლებში მაინც!) და მომავლისკენ...

უამრავი რამის გადაბრალება შეიძლება ამერიკაზე, და ეს არ იქნება სიმართლისგან შორს, მაგრამ როცა ნაცებს გულში იკრავენ (ვინც იკრავს, ცხადია) და მათი გადაარჩენის აშკარა მცდელობებს ვუყურებთ, არ შეიძლება ამის შემხედვარეს გულში არ აგერიოს და... რეგულაციონერი კამო არ გაგახსენდეს!

მიუხედავად ყველა ნაცის და ქოცთა უმრავლესობის დიდი წინააღმდეგობისა და ამერიკის ელჩის მხრიდან ქოც-ნაცების მხარდაჭერი აქტიურობისა, ვადამდელი არჩევნები მაინც უნდა გაიმართოს! ეს, ქართველი საზოგადოების კატეგორიული მოთხოვნაა!

იაკობ ლეჟავა 26 ოქტომბერი, 2013 წ.

ს.ს.ი.პ - ბარემოს პროფესიული საბუნების განსხვავება სასარგებლო წიაღისეულის უსწავლა-მოპოვების ღირსების გასაქმის მიზნით აუქციონის უსწავლის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ღირსების გამცემთა საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ღირსების ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

Table with 2 columns: Auction Item Description and Terms/Conditions. Includes details about the 'Professional Bidding' process for mineral resources, starting with 'საბუნების პროფესიული საბუნების განსხვავება'.

ცხრილი

2003-დან 2012 წლამდე საქართველოში არაერთმა ადამიანმა დაკარგა ქონება. ამის შესახებ მრავალჯერ დაწერილა თუ გასულიყო...

ბიზნესმენ ბაკურ კილურაძეს ოპერის უკან, თაბუკაშვილის №27-ში მდებარე 1600 კვ. მეტრი საოფისე ფართი დაუნგრეს და იქ პოლიციის შენობა ააშენეს...

ბაკურ კილურაძე იმისა იხსენებს, რომ ბიზნესპარტნიორი მოსტაცეს და მას ააშენებინეს „თბილისი-მოლი“, შემდეგ ისიც გააგდეს საქართველოდან.

„დელისის სავაჭრო ცენტრის მშენებლობისთვის ერთ-ერთ თურქულ მნიშვნელოვან კომპანიასთან ვთანამშრომლობდით...

ბად აღიქვამს თავის უკანონოდ დაპატიმრებას. იმედოვნებს, რომ ახლა მაინც სამართლიანობა აღდგება...

ბაკურ კილურაძის თქმით, დაზარალებული ბიზნესმენები სახელმწიფოს არ უყურებენ როგორც მენეჯერს, ისიც ესმით, რომ მათი ქონების დაბრუნება რთული პროცესია...

განაკუთლება ნაციონალურად

„არა მგონია, პოლიციის შენობის ტერიტორია დავიბრუნო, იმ შენობაში ნამდვილად არ ვაპირებ შესვლას, მაგრამ რაღაც ფორმით სახელმწიფომ ხომ უნდა იფიქროს ამაზე...

ნორა კვიციანი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ მის ძმას - ემზარ კვიციანს უკანონოდ ჩამოართვეს ქონება. მეტიც, საერთოდ, თუ რამე ჰქონდა ემზარ კვიციანს, ყველაფერი წაართვა...

თორნიკე მოლაშვილი მისი ძმის -სულხან მოლაშვილისთვის ქონების ჩამორთმევის ფაქტს იხსენებს. სინამდვილეში, მათ ზედმეტი ქონება არ ჰქონიათ...

აგარაკი და შემდეგ ჩამოართვეს.

„სანამ პრეზიდენტი გახდებოდა და ოპოზიციაში იყო, მანამდე მისივე სააკაშვილმა, ამ მსოფლიოში უდიდესმა პიარშიკმა, განაცხადა - სულხან მოლაშვილს „დაჩა“ აქვსო...

მისივე განმარტებით, საკრებულოში ამ საკითხზეც მიმდინარეობს მსჯელობა, მაგრამ კონკრეტული შედეგი რა იქნება, მისთვის უცნობია. ამასთან, პოლიტიკტიმარი მიიჩნევს, რომ ახლა არჩევნების გამო მათთვის არ სცალიათ, თუმცა არჩევნების შემდეგ, შეიძლება, აღნიშნული აგარაკი დაიბრუნოს სულხანმა...

ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ არ დაუბრუნებიათ არც მისი მოქალაქეობის მონობა, არც ენ. ბუმაშინიკი, მასში ჩადებული მცირე რაოდენობის თანხით, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა „შეიტყაპუნა“...

„თქვენ წარმოიდგინეთ, მედევნობდნენ სლოვაკეთს ჯაშუშობას, ჰქონდათ მტკიცებულება, რომ ეს თანხა ჩემს ანგარიშზე დაჯდა და ამ დროს ამ თანხას არ შემედეგენ...

რაც შეეხება ნაციონალების დროს სხვა ადამიანებზე ქონების უკანონოდ გადაფორმებას, პოლიტიკოსის თქმით, ასეთი ფაქტები ძალიან მცირეა და ქონების ჩამორთმევის 99%-დან მხოლოდ 1% თუ იქნება ასეთი...

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლეჭვიანი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ საკითხი მეტად რთულია და ნაქარვევი გადანაცვლებული საქმეს გაართულებს...

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ბიზნესმენისგან „ნაჩუქარ“ ქონებას, თუ ის ქონება დღესაც სახელმწიფო ბალანსზეა, ირაკლი ლეჭვიანის აზრით, მათი დაბრუნება ძალიან მარტივია...

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია აცხადებს, რომ რეპრესირებული ადამიანებისთვის ქონების დაბრუნების პროცესი რამდენიმე დღეში ვერ დასრულდება...

მანანა ნოზაძე

მედიაციის დღე

ოქს კასსა დაეჭირვოს...

„ქართული მედიაციის თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სისოცლისათვის“

2013 წლის 17-24 ოქტომბერს, ბერძნულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა საზოგადოება „კოლხეთის“ (თავმჯდომარე - ნინო ბაჯელიძე) ინიციატივით, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით (ელჩი - დავით ბაქრაძე), განხორციელდა პროექტი - „ქართველი ექიმები თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის“.

პროექტი ითვალისწინებდა ქართველი ექიმების მიერ საბერძნეთის რესპუბლიკაში მცხოვრები იმ ქართველი თანამშრომელთათვის სამედიცინო მომსახურების განწევას, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის სამედიცინო კვლევასა და მკურნალობას. პაციენტთა მიღება ხორციელდებოდა ქ. ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრი „კავკასიის“ (ხელმძღვანელი ავთანდილ მიქაბერიძე) ბაზაზე არსებული სამედიცინო კონსულტაციის კაბინეტში. დიასპორის წამომადგენელთა თხოვნით, ქართველი ექიმები (პროფესორი მისიელ წვერაძე, გინეკოლოგი მარინა ნეფედოვი, გასტროენტეროლოგი ქეთევან თორღვაძე, ქირურგი თემურ ფანცულაია, ნეიროფიზიოლოგი ალექსი მარღანია, თერაპევტი ირინა მათურელი, ნევროპათოლოგი გია კვარაცხელია) სა-



საქართველოს რესპუბლიკა



ბერძნულში ახორციელებდნენ უფასო დიაგნოსტიკას, კონსულტაციასა და სამედიცინო მომსახურებას, საჭიროების მიხედვით.

პროექტი „ქართველი ექიმები თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის“ პირველი საპილოტე აქციაა ჩვენი თანამშრომელთათვის სამედიცინო მომსახურების განწევისა და დახმარების მიმართულებით.

კვირის განმავლობაში 350 პაციენტი მიიღეს ექიმებმა, მათ შორის იყვნენ რომლებისთვისაც აუცილებელია სასწრაფო ქირურგიული ჩარევა, ექიმებისა და დროის სიმწირის გამო სამსუხაროდ უარი ეთქვა ბევრ ადამიანს და მათ ვერ შეძლეს პროექტში მონაწილეობის მიღება.

იმედი მაქვს მომავალში უფრო ფართომასშტაბიანი პროექტის განხორციელების საშუალება მოგვეცემა, სასწრაფო საოპერაციო ადამიანები, რომელთათვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს აქცია - სიცოცხლის გადარჩენის ტოლფასი. პროექტის წარმატებით განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველ მდივანს დიანა მალაზონიას, რისთვისაც ქართული დიასპორა ძალიან მადლობელია.

არ შეიძლება, არ აღვნიშნო და დიდი მადლობა არ გადავუხადოთ იმ ადამიანებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ კეთილშობილურ საქმეში, დიდი მადლობა ქალბატონ როზა გოგოლაძეს, ლილია ღლონტს, ნინო ნეფარიძეს, ლეილა ზვიადაძეს, მაიკო კანდელაკს, ია თულაშვილს, ნანა შურაძეს, ხათუნა კანდელაკს, ნათია ნაცვლიშვილს და სალომე შალამბერიძეს.

ნინო ბაჯელიძე, ამჟამად, საბერძნეთი

ოქაინის გაღება

ორკოვლა ნიუ-იორკში

ამბს ნინათ ნიუ-იორკში ლექსინგტონ აგენიზზე მდებარე ალკოჰოლური სასმელების მაღაზიაში სახელად Ambassador Wines Spirits - ქართული ღვინის კომპანია „ორკოვლას“ პროდუქციის დეგუსტაცია გაიმართა. მანამდე კი ბროდვეიზე მდებარე Beacon Wines and Spirit-ში გამართული ტესტირების დროს სათანადო ვიზიტში ამერიკელებმა „ორკოვლას“ 35 ბოთლი იყიდეს.

სანამ ამერიკას ესტუმრებოდა, კომპანიას დიდი წარმატება ბრიტანეთში სცდა. უფროსი მენეჯერი „გრავინი“, რომელიც ღვინის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ავტორიტეტული გახლავთ და რომელსაც მსოფლიოს 90 ქვეყანაში კითხულობენ და რომელშიც ღვინო ექსპერტების მიერ ტესტირებას გადას, საქებარ სიტყვებს არ იშურებდა და ქართულ ღვინოს ახასიათებდა, როგორც სუფრისთვის იდეალურს, არა 100, არამედ 125 პროცენტით; „ორკოვლა საფერავს“ კი ალუბლის არომატს ამსგავსებდა, მის ფერს - ხვედრის მსგავსად, მდიდრულ გემოს კი - მწიფე მავალს. ქართული ხალხური შრომის სიმღერის სუნის კომპანიამ აშშ-ში ქართული ღვინო შარშან ოქტომბერში შემოიტანა და იგი სავაჭრო ქსელით მანკეტენზე, ქუინსში,

ლონგ აილენდზე და ბრუკლინში განათავსა. გარდა ამისა, „ორკოვლა“ ლვინო ჯორჯიის შტატშიც ჩაიტანა და სამომავლოდ ამერიკაში გასაღების არეალის გაფართოვებასაც გეგმავს.

განათლებით ფოლოსოფოსი და მათემატიკოსი, ბრიტანელი ჯენის



რობინსონი სამეფო ოჯახის კონსულტანტი, გაზეთ Financial Times-ის მესვეტე, ღვინის რუკისა და ენციკლოპედიის ერთ-ერთი ავტორი, ღვინის ავტორიტეტული კრიტიკოსია და, როგორც ჩვენთან იტყობენ, მის კალამს 10 000-ზე მეტი სტატია ეკუთვნის. ტექსტის თემა კი ერთია - ღვინო. ერთ-ერთი მისი სტატია კი „ორკოვლას“ „საფერავსა“ ეხება; „გულახდილად შემიძლია გთხოვრებ, რომ „ორკოვლას საფერავი 2004“ (კახეთი, საქართველო) არის საუკეთესო იმ ქართულ ღვინოთაგან, რაც მე გამისინჯავს“.

იან მირკვილაძე, ნიუ-იორკი, აშშ

© წინ, საქართველო!



კიბონიანება თაგასა ასნიეს

2011 წელს გორელმა ბექა ღვინიაშვილმა (90) ჭაბუკებში მსოფლიოს და ევროპის პირველობები მოიგო, კონტინენტის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზეც წველას აჯობა. და აი, 18 წლის წინააღმდეგ თაგას დაბადების დღეზე - 25 ოქტომბერს ლიუბლიანაში 21-წლამდე მსოფლიოს პირველობაზე ოქროს მედალი მოიპოვა, თანაც ისე, რომ სუთივე მეტოქე იბრუნა დაამარცხა.

პირველობის ვიცე-ჩემპიონი ლევან მათიაშვილი (+100) გავიდნენ. სლოვენიაში პირადი პირველობების შემდეგ გუნდური ჩემპიონატიც გაიმართა. შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა ფალავნებმა. გია გუგავას შეგირდებმა ქვეჯგუფში ჯერ რუსებს სძლიეს - 3:2, მერე მონღოლებს 5:0 მოუგეს, ასეთივე ანგარიშით ნახევარფინალში მასპინძელი სლოვენია დაამარცხეს, ფინალში კი ბერძნებს აჯობეს - 4:1 და გუნდური ჩემპიონობა დაიმსახურეს. გადამწყვეტი პაექრობისას ფრიდონ გიგანმა (73) ევროპის წლევანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი, ქართველი რომან მასტოულოსი (რევაზიშვილი) დაამარცხა, რამაც ბერძენთა საქართველოდან ნასული მწვრთნელი ნიკოლოზ ილიადი-

სი ისე გაანანყენა, რომ მსაჯმა იგი მისი ადგილიდან გადაქცა. მომდევნო პაექრობაში უშანგი მარგიანმა (81) ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი ალექსიოს ნტანაციდისი მშვენიერი მოგვერდით ვაზარიზე დააგდო. გუნდს ვადამდელი გამარჯვება ბექა ღვინიაშვილმა მოუტანა - გეორგიოს მალიაროპულოსს შებოჭვით მოუგო - 3:1. ბოლო პაექრობაში ევროპის ვიცე-ჩემპიონმა და მსოფლიოს პრიზიორმა ლევან მათიაშვილმა დივიდ კარაკლიდისი დაჯაბნა. ფინალში ერთადერთი შეხვედრა გელა კელიხაშვილმა (66) ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონ გეორგიოს აზოიდისთან წააგო.

ლემსო ცინცაძე

© თავისუფალი ჭილაობა

აზიური ჯილდოები



მაზნაშვილმა თაგას თაგისუფალი სტილით მოჭიდოვითა კუნაგის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა 2 ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

84 კილოგრამ წონით კატეგორიაში დავით მარსაგიშვილმა ყველა შეხვედრა ქულათა დიდი უპირატესობით მოიგო - პირველ წრეში მასპინძელ მედეთ რაისოვს 7:0 აჯობა, მერე მისი თანამემამულე აიბეკ კასუმოვი დაჯაბნა - 8:0, ნახევარფინალში კანადელთან სახელით მოასპარეზე ტამერლან ტაგზიევი ჩამოიშორა გზიდან - 9:2, ფინალში კი ყაზახის ისლამ აზიზოვი დაამარცხა - 8:0 და პირველი ადგილი დაიკავა. ომარ გუსოშვილმაც (100 კგ) ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ყველა მეტოქეს სძლია - ჯუმაგალი მამუტოვს 8:3, დუმან ბულტრიკოვს 10:2, იერალი აბრაშევს 7:0, ალისან ჯუმაევის (ყველა - ყაზახეთი) 8:5 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

სამი შეხვედრა მოიგო (ზიგერ ზაკიროვთან - 11:4, ასლან აზიზოვთან - 8:0, ამანსენ ბაკიკხანთან - 11:2), ერთი წააგო (აკურეკ ტანატაროვთან - 0:7) იაკობ მაქარაშვილმა (74) და მესამე ადგილს დასჯერდა.

ვაჟა ნოსირაძე

© ხელუბრები

19-წლამდელები თავს საქართველოში მოიყრიან

მატარის დედაქალაქმა დოზამ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესს უმასპინძლა. ამ დიდ ფორუმზე განიხილეს, თუ სად გამართულიყო 2017 წელს 19-წლამდე ხელბურთელთა მსოფლიოს პირველობის ფინალური რაუნდი. მასპინძლობაზე პრეტენზიას საქართველო და ხორვატეთი აცხადებდნენ. კონგრესის გადაწყვეტილებით ეს შეჯიბრება ჩვენს ქვეყანაში ჩატარდება. პაექრობები თბილისში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება. საქართველოს დელეგაციამ კონგრესს ამცნო, რომ ამ ჩემპიონატისთვის მთავრობის თანადგომით თანამედროვე სტანდარტების ახალი სპორტის სასახლეები თელავში (2000 ადგილით), ქუთაისსა (3-4 ათასი) და ბათუმში (5-6 ათასი) აშენდება.

ჩვენი ქვეყნის კონკურენტ ხორვატეთს კონგრესმა 2017 წელს 21-წლამდელებს მსოფლიოს პირველობის ფინალური ეტაპის მასპინძლობის უფლება ანდო.

გივი ბაგუა



© ჩოგბურთი

პირველობას და 50 ქულას

ფლორენსში (აშშ) დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), რომელშიც შესანიშნავად იასპარეზა ანა ტატიშვილმა, რომელმაც ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია. შეჯიბრების ბოლო დღეს მე-4 ნომრად განთესილი ჩვენბურთი მესამე ნომერ მედისონ ბრენგლის (აშშ) მეტოქეობდა. ისინი აქამდე ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, სამჯერ ანამ გაიმარჯვა, ერთხელ - მედისონმა. ფლორენსის ტურნირის გადამწყვეტ რაუნდში ისევ ქართველმა ჩოგბურთელმა იყოჩაღა და სამ სეტში სძლია მასპინძელს - 6:2, 4:6, 6:4, რითაც პირველი ადგილი დაიკავა და 50 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა. ანა ტატიშვილი ამერიკაშივე რჩება და ნიუ ბრაუნფელსში 50-ათასიან ტურნირში ითამაშებს.

გასულ უქმეებზე ანტალიაშიც დასრულდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი). ასპარეზობის ფინალში გავიდა თბილისელი ეკატერინე გორგოძე. ნახევარფინალში მან შეჯიბრების რეიტინგფავორიტ მარტინა კუბიჩიკოვას (ჩეხეთი) აჯობა - 6:1, 6:4, გადამწყვეტი პაექრობა კი რუს ანასტასია რუდაკოვასთან 1:6, 0:6 დათმო და მეორე ადგილს დაეკუთვნა.

ლაშა დიდა



© ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXV ეროვნული ჩემპიონატის X ტური. „დინამო“ - „ტორპედო“ 2:1, „სიონი“ - „მეტალურგი“ 0:1, „ჩიხურა“ - „გურია“ 5:1, „ბაია“ - „ცხინვალი“ 1:1, „მერანი“ - „ზესტაფონი“ 0:2, „ვიტ ჯორჯია“ - „დილა“ 0:2. სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ - 25, „ტორპედო“ - „ჩიხურა“ - 19-19, „მეტალურგი“ - 17, „დილა“ - „გურია“ - 15-15, „ზესტაფონი“ - 14, „ვიტ ჯორჯია“ - „მერანი“ - 12-12, „სიონი“ - 9, „ბაია“ - 7, „ცხინვალი“ - 4 ქულა.



ბომბარდირები: ტანაშვილი („ჩიხურა“), მოდებაძე („დილა“) - 7-7 გოლი. შემდეგი ტური: „მეტალურგი“ - „დინამო“, „ზესტაფონი“ - „სიონი“, „დილა“ - „მერანი“, „ცხინვალი“ - „ვიტ ჯორჯია“, „გურია“ - „ბაია“ (3 ნოემბერი), „ტორპედო“ - „ჩიხურა“ (4 ნოემბერი).

იტალია. „უდინეზე“ - „რომა“ 0:1, „იუვენტუსი“ - „ჯენოა“ 2:0, „პარმა“ - „მილანი“ 3:2, „ინტერი“ - „ვერონა“ 4:2, „ნაპოლი“ - „ტორინო“ 2:0. ისპანეთი. „ბარსელონა“ - „რეალი“ 2:1, „ატლეტიკო“ - „ბეტისი“ 5:0, „ვილიარეალი“ - „ვალენსია“ 4:1, „სევილია“ - „ოსასუნა“ 2:1, „ლევანტე“ - „ესპანოლი“ 3:0.

ინგლისი. „ჩელსი“ - „სიტი“ 2:1, „მანჩესტერი“ - „სტოკი“ 3:2, „კრისტალ პალასი“ - „არსენალი“ 0:2, „ლივერპული“ - „ვესტ ბრომვიჩი“ 4:1, „ტოტენჰემი“ - „ჰალი“ 1:0.

გერმანია. „ბაიერნი“ - „ჰერტა“ 3:2, „შალკე“ - „ბორუსია“ 1:3, „ლევერკუზენი“ - „აუგსბურგი“ 2:1.

საფრანგეთი. „მონაკო“ - „ლიონი“ 2:1, „სენტ ეტიენი“ - „პარი სენ-ჟერმენი“ 2:2.

გიორგი შოთაძე

© კალათბურთი

სეზონი კალაბს იკრებს

სუპერლიგის II ტურში გათამაშებაში ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი თბილისის „დინამო“ ჩაება. წარმატებითაც - ახალი სეზონის წინ ბარაქიანი საკადრო პოლიტიკით მოლონიერებულმა ირაკლი ხოშტარიას გუნდმა „სოხუმს“ სძლია - 70:63.



მოგესხენებათ, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის მიხედვით გულუას ნამაგარ ზღვისპირელებს ამბიციური გეგმები აქვთ, თუმცა სტარტზე განცდილი ზედიზედ მეორე მარცხი სათუთს ხდის მათ საფუძვლიანობას.

დანარჩენი შედეგები: „ბათუმი“ - „არმა“ 61:71, „ქუთაისი“ - „რუსთავი“ 100:67, „ოლიმპი“ - „მაკაბი“ 96:59. ისვენებდა შსს აკადემია. მესამე ტურში დიდ ინტერესს იწვევს „არმიისა“ და შსს აკადემიის გუნდის მატჩი, რომელიც 2 ნოემბერს 14 საათზე დაიწყება.

ვიტალი ჯაფარიძე

შაბათ-კვირის ჩანაწერები

„ივანიშვილის ხათრით — მარგველაშვილს!“



ადრინანდ მივედი საარჩევნო უბანზე. დაუსწრია მეზობელს — უკვე გამოდიოდა შენობიდან.

- რა ქენი, შოთა ჩააგდე „კენჭი“?
- მა, როგორ?! - მიპასუხებს და თან ხელის აწევით მესალმება.
- გამიმხელ?!
- რა გამხელა უნდა, ივანიშვილის ხათრით მარგველაშვილს მივეცი ხმა.
- ასეთი „ხათრით“ არჩეული, გამოგვადგება მერე, კაცო?!
- რა ვქნა, ვინმე ხომ უნდა ამერჩია? ჰოდა, ივანიშვილს ხათრი ვერ გავუტყებ!

უგულაგას გაკეთებული „საქმე“

ნანსმარტი საათია „თავისუფლების მოედანზე“ „საცობში“ ვართ გაჭედილი. ბუზღუნებს ტაქსის მძღოლი, საშველი აღარ არისო, „რესპუბლიკის მოედანზე“ ბერას კონცერტმა ნამეტანი ქნა, ქალაქის ცენტრში, ეს პუშკინის ქუჩა, უგულაგამ გააუბედურა, - ქვა და აგური აღმოაჩინა და ამიტომაც მოძრაობა ცალმხრივი გახდა... მოკლედ, საშველი აღარ არის..

ვეხმინები: - უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენაა ძმო!.. ალბათ, ამაყობს კიდევ გიგი უგულაგა... ვაი, მაგის პატრონს!.. კაცო, ეგეთი „აღმოჩენა“, სადაც გინდა დაარტყი ბარი, ყველგან შეიძლება იყოს ძველ თბილისში!.. გადაეხურათ მაინც ზემოდან და არ შეეფერხებინათ ტრანსპორტის მოძრაობა!..

დაიჯესტი

ნუ სკამ, ნუ უყვირი!

მშობლებმა შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენონ მოზარდებს და არც უნდა უყვირონ მათ, მშობლის თავშეუკავებლობა ზრდის ბავშვებში დეპრესიისა და პრობლემური ქცევის რისკს, დარწმუნებული არიან ამერიკელი ფსიქოლოგები.

ისინი ორი წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ 976 ოჯახს. ბევრმა მშობელმა, რომლებიც დათანხმდნენ მოხალისის როლზე, ილაპარაკა იმის შესახებ, რომ აღზრდის ფიზიკური მეთოდიდან გადავიდა სიტყვიერზე, როდესაც მათი ბავშვები მოზარდები გახდნენ. მშობლები უბნების ნებას აძლევდნენ თავს სხენებული ოჯახების ნახევარში, და ყველა ამ შემთხვევაში ბავშვს შემდეგ უჩინდებოდა გადასხვევები ქცევაში. 13-14 წლის ასაკში მოზარდებს უჩინდებოდათ დეპრესია, ისინი ცუდად იქცეოდნენ სკოლაში, ცრუობდნენ, იპარავდნენ და ჩხუბობდნენ. მშობელთა აგრესიულობა, თუნდაც სიტყვიერი, მათ შვილებზე იწვევდა რისხვის, გაღიზიანებისა და მეტროლოლოგიის პროვოცირებას.

მეცნიერები ურჩევენ მშობლებს გულლიად ესაუბრონ ბავშვებს თავიანთი განცდებისა და პრობლემური ქცევის შედეგების შესახებ და იშვიათად აიმალონ ხმა მოზარდებზე

აცრა — მოწვევის წინააღმდეგ

რუსეთში ქმნიან მოწვევის საწინააღმდეგო ვაქცინას. პროექტმა მიიღო რუსეთის ფედერაციის სამრეწველო ვაჭრობის სამინისტროს გრანტი. ერთ-ერთმა დამამუშავებელმა დიმიტრი ოვჩინიკოვმა განმარტა, რომ „თამბაქოზე დამოკიდებულების მკურნალობის არსებული მეთოდები ნაკლებეფექტიანია“ და ახალმა ვაქცინამ უნდა უზრუნველყოს გარღვევა ამ სფეროში. მისი მოქმედების შედეგად ორგანიზმი იწყებს ანტიისხულების გამოიმუშავებას, რომლებიც დაბლოკავენ ნიკოტინის ტვინში მოხვედრამდე, მოწვევა არ გამოიწვევს ეიფორიისა და კმაყოფილების გრძნობებს. თამბაქოსგან პათოლოგიური დამოკიდებულების ჯაჭვი განწყდება.

პაი ჭაშისაბან

მბღაღი განვითარების ადამიანები პრიმიტიული სამუშაოზე მოწყობის დროს რისკავენ თავიანთი ფსიქიკური ჯანმრთელობით. ასეთ დასკვნამდე მივიდა საერთაშორისო მეცნიერთა ჯგუფი, რომელმაც გამოკითხა 16 ათასი ადამიანი 21 ქვეყნიდან. თუ განათლების მაღალი დონე არ მოეთხოვება სამუშაოს, ეს არსებითად ზრდის აპათიისა და დეპრესიის რისკს.

ამგვარ სიტუაციაში ადამიანები თავიანთ სამუშაოს მიიჩნევენ მოსაწყენად და ნაკლებად საინტერესოდ. ჩვენები, რომლებიც ინსტიტუტში მიიღეს, არ არის საჭირო, ამოცანები კი, რომლებსაც ჭრინან, უმნიშვნელოა. ბევრმა გამოკითხულმა აღიარა, რომ ხარისხივანმა განათლებამ არ მისცა მათ შესაძლებლობა ემუშავათ პრესტიჟულ

- ნახეთ, ნახეთ!.. - ხელოვნების მუზეუმისკენ მახედებს მძღოლი, - კედლის გასწვრივ, თითქმის შუა ქუჩაში დადის ხალხი!.. ნაღდად რალაც უბედურება დატრიალდება!.. ვინრო ტროტუარი მაინც გაეყვანათ ამ ოხრებს!..
- ეგ არის მაგათი გაკეთებული „საქმე“

წასვლის წინ „გაეროვნებული“ მიშა

ო, როგორ „გაეროვნულდა“, ო, როგორ „გაბაბრიოტდა“ მიხეილ ნიკოლოზის ძე პრეზიდენტობიდან „წაშავების“ წინა დღეებში. ამ ბოლო გადაწყვეტილებით ნომ, მაინც, ერთიანად „დაგლიჯა“ - ზვიად გამსახურდიასო, ამბროსი ხელაიასო, გრიგოლ ფერაძესო, მისაკო წერეთელსო, ექვთიმე თაყაიშვილსო, მერაბ კოსტავასო... „მე გადავწყვიტე“ მივანიჭო ეროვნული გმირის წოდებაო!.. მოისმინეთ, არა? ხომ ბევრმა მოისმინეთ ჩვენი „ეროვნული“ პრეზიდენტის გამოსვლა ალვანში ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის მემორიალის გახსნისას. „მე გადავწყვიტე“... ამ არაგმირმა, ამ „ჰალსტუხლეჭია“ ორმეტრიანმა კაცუნამ ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის მართლაც გულდაამწვარ ადამიანებს!..

რატომ ღმერთი არ გაიცინებს! როგორ ფიქრობ, შენ რომ არ „დაგენწყვიტა“, ისე არ არიან ესენი ეროვნული გმირები?!

მორჩა მიშა, დამთავრდა შენი დროსმორგებული გადაწყვეტილებები!

ისა სჯობს, გელათში ჩახვიდე, ჩვენი სათაყვანო მეფის საფლავზე დაიროქო და, თუ ოდნავი სინდის-ნამუსი შეგჩნა, ჩასძახო: „ვერ შევასრულე მეფეო, რაც დიდის ამბით დაგპირდი, ძნელი ყოფილა ცხოვრებასახითა - ნათლითა, პირითა - მართლითა, შეურცხვენელად!“

P. S. იცი, როდის იყავი შენ, მიშა, ცამდე მართალი?.. მაკვირებს რომ მაინც შენთვის ეროვნული გმირის წოდება აი, ეგ იყო, თუ იყო, „გადაწყვეტილება“.

გიჟად შერჩები ჩვენს ისტორიას!

მიშას „გადაშავებას“ მეც ველოდი, თითქმის მთელ საქართველოსთან ერთად და, რახან „გადაშავება“, აბა, მუხას რა შეაკავებდა? ჰოდა, გალაკტიონის ცნობილი ლექსის - „მიდინარ, ისე მიგაქვს წვალბა“ - მოტივზე, აი, რა მიგადავიწე „გადაშავებულ“ სააკაშვილს:




მიდინარ, მიგაქვს ქვეყნის წვალბა, ებ, მიშა შენს ბედს არვინ ინატრებს, ვინა თქვა შენი „გარდაცვალება“, „ნაცებთან“ დიდხანს დაიბნადრებ. მიდინარ, ხალხს წვევლით გაცილებს, (როგორც ყოველთვის - ხალხს სწორია), ქვეყნის დამქცევი, ერის ბაცილა, გიჟად შერჩები ჩვენს ისტორიას!

ვილან მარდალიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის კონსულტანტი, მეცნიერების დოქტორი, ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე თაბაჯ აბანოიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკისა და არქივის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრისა და კოლეგის თაბაჯ აბანოიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.



დედა მადონა არობელიძე, მეუღლე თინათინ ქაჯაია, შვილები ნიკა, ლუკა ღრმა მწუხარებით იუწყებიან ლაშა ურუშაძის გარდაცვალებას.

თემურაზ ქაჯაია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ლაშა ურუშაძის გარდაცვალებას.

ზურაბ ხელაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ლაშა ურუშაძის გარდაცვალებას.

ნინო ქაჯაია, თიკუნა, დავით კობალიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ლაშა ურუშაძის გარდაცვალებას.

თათია, ანუკი ქათამაძეები იუწყებიან მამასავით საყვარელი ლაშას გარდაცვალებას.

სოფიკო მახარაშვილი, გელა სხილაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ლაშა ურუშაძის გარდაცვალებას.

ზაზა ხელაძე, ნინო, ბაჩო გეგშიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ლაშა ურუშაძის გარდაცვალებას.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

